სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

თარიღი: 10.12.2024

ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **დემეტრე ჯინჯოლიას** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[4] მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციასა და 2024 წლის 3 დეკემბერს კანდიდატთან დემეტრე ჯინჯოლიასთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს. არ აქვს მინდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,

შესაფასებელ პერიოდში კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 5 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, სიმართლისმოყვარეობას, კორექტულობას, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო მოკრძალებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და პრობლემათა მოგვარების საკუთარ თავზე აღება.

დემეტრე ჯინჯოლია არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალების ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. ითითოეულ საკითხ'ხე მსჯელობისას

ამჟღავნებდა კორექტულობას და კონსტრუქციულობას.

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის კორექტულობას, საკუთარი ემოციების მართვის უნარს ა.შ.. კანდიდატს აფასებენ, როგორც გაწონასწორებულ პიროვნებას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, დემეტრე ჯინჯოლიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტში სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **დემეტრე ჯინჯოლიას** (როგორც სამოსამართლო უფლებამოსილების არმქონე კანდიდატის) შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u>

დემეტრე ჯინჯოლია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 83/15, რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - მე-6.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „დემეტრე ჯინჯოლიამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 88 ქულა. სისხლის სამართალში დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. სამოქალაქო სამართალში მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. ადმინისტრაციული სამართალი - დემეტრე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. დემეტრე არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილი ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება."

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

შეიძლება ითქვას, რომ დემეტრე ჯინჯოლია სიღრმისეულად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, კანდიდატი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილებებს. მან საჯარო მოსმენაზე ამომწურავად ისაუბრა საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხებზე. კანდიდატი არსებითად ადეკვატურად აცნობიერებს განხილული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. მისი პასუხები თანმიმდევრული, დამაჯერებელი, ვრცელი და არგუმენტირებული იყო. კანდიდატმა წარმატებით გაართვა თავი სისხლის სამართლებრივ საკითხებზე დასმულ ყველა კითხვას. მან ამომწურავი და დასაბუთებული პასუხები გასცა დასმულ კითხვებს.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

დემეტრე ჯინჯოლიას აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „დემეტრე ჯინჯოლიას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, გამოცდილებიდან და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებებს ძალიან კარგად ასაბუთებს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული, ამომწურავი და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო, არის არგუმენტირებული და თანმიმდევრული.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი, საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი. აზრს ნათლად და გასაგებად

გადმოსცემს, ლოგიკურად მსჯელობს და გამართულად მეტყველებს. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და გასაგებად გადმოცემა. ამასთან, იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს, როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით; კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვეცით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, დატოვა მშვიდი და კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად, ლოგიკურად გამარიულად.

4. პროფესიული თვისებები - აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა და მედია საშუალებებში, მასთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

გამოკითხული რეკომენდატორები დემეტრე ჯინჯოლიას ახასიათებენ, როგორც შრომისმოყვარე და დამოუკიდებელი აზროვნების მქონე პიროვნებას. რაც შეეხებათ რესპოდენტებს, კანდიდატს დადებითად ახასიათებენ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების და გამოკითხული რეკომენდატორების და რესპოდენტების ინფორმაციის საფუძველზე მიმაჩნია, რომ დემეტრე ჯინჯოლიას კანდიდატურა შესაბამისია მოსამართლის თანამდებობისათვის.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია ღიაა სიახლეების მიმართ, იგი მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში (აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს

პროკურატურის თანამშრომლებისთვის თემაზე - საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრენერი, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი, ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა - ტრენინგი, წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო - ტრენერთა ტრეინინგი და სხვა. სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა); ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა) და სხვა.). ამასთან, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები. არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

6. პროფესიული აქტივობა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.</u>

დემეტრე ჯინჯოლია არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. აქვე აღვნიშნავ, რომ დემეტრე ჯინჯოლიას პროფესიული საქმიანობის პერიოდში მიღებული აქვს რამდენიმე სპეციალური წოდება, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისთვის კანდიდატის მიმართ არაერთხელ იქნა გამოყენებული წახალისების ფორმა. ამასთან, გამოკითხული რეკომენდატორების ინფორმაციით, დემეტრე ჯინჯოლია ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 90 ქულას.

თარიღი : 10.12.2024

ხელმოწერა: